სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

01/05/2026

MES 4 26 0000517116

ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის
დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 6 თებერვლის N129011 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 17 აპრილის N 449551 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 20 აპრილის N 451856 წერილის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის29 აპრილის N 01-05-04/44 დადგენილების შესაბამისად, სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის მიზნით

ვბრძანებ :

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 17 აპრილის N 449551 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2026 წლის პირველი მარტიდან 2026 წლის პირველ აგვისტომდე 5 (ხუთი) კალენდარული თვის განმავლობაში გაიცეს სახელმწიფო სტიპენდია თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკრედიტებულ საბაკალავრო და ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ და ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხულ აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებზე, რომლებსაც სწავლების წინა სემესტრში

სრულად აქვს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამით სემესტრისთვის განსაზღვრული კრედიტები (არანაკლებ 25 კრედიტისა);

2. სტიპენდიანტთა რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით განისაზღვროს სტუ-ის ბაკალავრიატის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად:

№	ფაკულტეტი	სტიპენდიანტთა რაოდენობა
1	სამშენებლო	**96**
2	ენერგეტიკის	**78**
3	სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების	**88**
4	აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების	**131**
5	სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის	**69**
6	არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის	**74**
7	სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების	**100**
8	ინფორმატიკის და მართვის სისტემების	**236**
9	დიზაინის საერთაშორისო სკოლა	**16**
10	ბიზნესტექნოლოგიების	**120**
11	სოციალურ მეცნიერებათა	**49**
	სულ	**1057**

3. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს ფაკულტეტებზე 2025–2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 17 აპრილის N 449551 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;

4. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 17 აპრილის N 449551 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს ფაკულტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ფაკულტეტების წარდგინების საფუძველზე სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს „სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე“ ბრძანების პროექტის მომზადება;

6. ბრძანების კონტროლი დაევალოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ.ბუაჩიძეს;

7. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყონ ფაკულტეტების სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებებმა;

8. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

რექტორი
გურგენიძე დავით